ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ შიდა აუდიტორული შემოწმების

აუდიტორული ანგარიში

(01.01.2019 – 01.01.2022 წ)

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური

დეკემბერი 2022 წელი

სარჩევი

1. შესავალი.....3

ა. ზოგადი ნაწილი.....3

ბ. შესამოწმებელ პერიოდში სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.....3

2. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები 4

ა. ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის" ფუნქციონირების, ქონების მართვისა და განკარგვის შედეგად გაწეული მუშაობის შედეგების აუდიტი 5

ბ. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, ხელშეკრულებების მომზადების, შესყიდული აქტივებისა და მომსახურების აღრიცხვის ასახვის შესაბამისობის და ფინანსური აუდიტი.....5

გ. შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშების და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი 6

3. შიდა აუდიტის სუბიექტის გადაწყვეტილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი"-ს მიერ შიდა აუდიტორულ ანგარიშთან დაკავშირებით წარმოდგენილ მოსაზრებასთან დაკავშირებით.....8

4. ძირითადი რისკები.....9

5. რეკომენდაციები.....9

ხელმოწერები.....9

1. შესავალი

ა. ზოგადი ნაწილი

შიდა აუდიტის საფუძველი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის 2022 წლის წლიური გეგმა.

შიდა აუდიტის ობიექტი - ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი". აუდიტის პერიოდი - 2019 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 01 იანვრამდე პერიოდი.

აუდიტის ჩატარების ვადა - 14.11.2022 – 14.12.2022 წ.

შიდა აუდიტის ამოცანა:

1. 2019 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ობიექტის ფუნქციონირების შედეგად გაწეული მუშაობის შესწავლა-ანალიზი, რისკების დადგენა და მათი აღმოფხვრის მეთოდების შემუშავება.

2. ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის" ფულადი სახსრების ხარჯვის, დაფინანსების წყაროების, ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი თანხების გამოყენების კანონიერების, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება. კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული აქტების, საკანცელარიო საქმისწარმოების, ხელშეკრულებების, საშტატო ნუსხით გათვალისწინებული საშტატო ერთეულების დაკომპლექტებისა და სახელფასო ფონდის ხარჯვის, მივლინებების, ქონების მიღების, აღრიცხვის, გამოყენების, დაცვისა და განკარგვის შესწავლა-ანალიზი. წესდებით გათვალისწინებული მიზნების შესრულებისა და საკადრო საქმიანობის კანონთან შესაბამისობის კონტროლი. რისკების დადგენა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა მათ აღმოსაფხვრელად.

იურიდიული პირის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შიდა კონტროლის სისტემის სწორად განხორციელებაზე, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის გამართულ ფუნქციონირებას, განხორციელებული საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან და სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შიდა აუდიტორებისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სიზუსტეზე. ანგარიშში ძირითადად ასახულია ის შენიშვნები, ხარვეზები და რისკები, რომლებიც გამოიკვეთა ობიექტის შემოწმებისას.

ბ. შესამოწმებელ პერიოდში „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის" საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი" დაფუძნებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 18 ივნისის N25 განკარგულების საფუძველზე და მოქმედებს თავისი წესდების შესაბამისად.

.ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის" დამფუძნებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი- „თვითმმართველი ერთეულის ხარაგაულის მუნიციპალიტეტი" საიდენთიფიკაციო კოდი 243570989. იურიდიული მისამართი: 9 აპრილის ქ.N 15.

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“ არის სკოლისგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება.

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“ თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონების და სხვა ნორმატიული აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად.

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს იურიდიული მისამართია: დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ.N 16, ელ.ფოსტა: maia.bluashvili@mail.ru ტელეფონი: 593573405

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მერის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.“

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს ლიკვიდაციის შედეგად ა(ა)იპ-ის ქონების განკარგვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიზნები და ამოცანები:

ა) წარმართავს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას 6-18 წლამდე ასაკის მოსწავლეებთან.

ბ) ხელს უწყობს მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორ ორგანიზაციას, მოზარდთა ინტერესების ყოველმხრივ განვითარებას.

გ) ეწევა ფართო მასობრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას მოსწავლე-ახალგაზრდობას შორის.

დ) მჭიდრო კავშირშია საჯარო სკოლებთან და მოსწავლეთა მშობლებთან, თანამშრომლობს მათთან და ატარებს საქმიან და კულტურულ ღონისძიებებს.

ე) უფლება აქვს შექმნას მუსიკალური და სხვა სახის სტუდიები დაბა ხარაგაულში და სოფელ ვერტყვიჭალაში.

მოსწავლე-ახლგაზრდობის სახლს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული აქვს ხარაგაულის მუნიციპალიტეტისაგან, ფუნქციონირებისათვის შენობა. წესდების მიხედვით აკრძალულია მისი არადანიშნულებისამებრ გამოყენება, მასში სხვა ორგანიზაციების განლაგება.

მუშაობის და დასვენების დღეები წესდება დირექტორის მიერ დაწესებულების შინაგანაწესის მიხედვით. საშტატო ნუსხას და ხელფასის ოდენობას, დირექტორის წარდგინებით, ამტკიცებს ხარაგაულის გამგებელი. ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი უფლებამოსილია გასცეს მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის, შიდა აუდიტის განყოფილების უფროსი-ინგა თურქაძის, ამავე განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-სავლე შარიქაძის, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის, შრომითი

ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თამარ ხორბალელის მიერ, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 სექტემბრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის 2022 წლის წლიური გეგმის საფუძველზე, ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს ჩაუტარდა შიდა აუდიტორული შემოწმება, რომელსაც ესწრებოდნენ და დასმულ საკითხებზე განმარტებებს იძლეოდნენ: დირექტორი [redacted] დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების მართვაში-[redacted]

წარმოდგენილი საბუღალტრო ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე დადგენილია შემდეგი:

ა. ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ ფუნქციონირების, ქონების მართვისა და განკარგვის შედეგად გაწეული მუშაობის შედეგების აუდიტი

შესამოწმებლ პერიოდში „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს“ ნაწარმოები აქვს გასული და შემოსული კორესპონდენციების ჟურნალები და ბრძანებების წიგნები. 2019-2021წწ საშტატო განრიგებში გათვალისწინებულია-ორგანიზატორი რიტმული წრის პედაგოგი. [redacted] განმარტებით, აღნიშნულ პოზიციაზე დანიშნული პიროვნება არის ორგანიზატორიც და რიტმული წრის პედაგოგიც. აღნიშნული პოზიცია შეუსაბამოა მოცემული წლების თანამდებობრივ ფუნქცია-მოვალეობებთან. მათში არაა გაწერილი „ორგანიზატორი რიტმული წრის პედაგოგის“ ფუნქციები, ჩაწერილია მხოლოდ ორგანიზატორის ფუნქციები. შესაბამისობის რისკის აღმოსაფხვრელად უნდა განისაზღვროს ფუნქცია-მოვალეობები „ორგანიზატორი რიტმული წრის პედაგოგის“ ან ფუნქცია-მოვალეობების ნუსხაში ცალკე იქნას განსაზღვრული რიტმული წრის პედაგოგის ფუნქციებიც და შესაბამისად საშტატო განრიგშიც უნდა იყოს მოცემული შტატი. ასევე საშტატო განრიგებში შეტანილია ხელგარჯილობის წრის პედაგოგის პოზიცია, თუმცა შესამოწმებელი პერიოდის ფუნქცია-მოვალეობების ნუსხაში არაა შეტანილი მისი ფუნქციები.

შინაგანაწესის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში გაწერილია სამივლინებო თანხის ანაზღაურების წესი შემდეგი მოცემულობით „სამივლინებო თანხა ანაზღაურდება დირექტორის მიერ დადგენილი ტარიფით“, რაც შეუსაბამობაშია კანონთან. აღნიშნული ტარიფი დადგენილია კანონმდებლობით და ორგანიზაციის ხელმძღვანელის კომპეტენციაში არ შედის მისი განსაზღვრა.

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ის წესდებაში ცვლილებაა შესატანი. შეცვლილი უნდა იქნას ტერმინი „გამგებელი“ და მის ნაცვლად ჩაიწეროს „მერი“. ასევე წესდების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტში არის შემდეგი ჩანაწერი: „მასობრივ წრეობრივ მუშაობას ხელმძღვანელობს კულტორგანიზატორი“, თუმცა არცერთ საშტატო განრიგში და არც ფუნქცია-მოვალეობათა ნუსხაში არაა შეტანილი ასეთი პოზიცია. აღნიშნული შეუსაბამობაც უნდა აღმოიფხვრას.

ბ. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, ხელშეკრულებების მომზადების, შესყიდული აქტივებისა და მომსახურების აღრიცხვის ასახვის შესაბამისობის და ფინანსური აუდიტი.

ა(ა)იპ „მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“ დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. 2020-2021 წლების შესყიდვების გეგმები ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრო სისტემაში დაგვიანებით. რის გამოც

დარღვეულია საქართველოს კანონი, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მუხლი 9, პუნქტი 4-ი. მომდევნო წლის შესყიდვების წლიურ გეგმას შემსყიდველი ორგანიზაცია წარუდგენს სააგენტოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 20 ნოემბრისა. 2019 წლის შესყიდვების გეგმა ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია 8386 ლარის ოდენობით. ხელშეკრულებები დადებულია 8213 ლარის ღირებულების მომსახურებაზე, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 7848 ლარის ღირებულების მომსახურება. 2020 წლის შესყიდვების გეგმა ატვირთულია 6172 ლარის ოდენობით, ხელშეკრულებები დადებულია 6193 ლარის ღირებულების მომსახურებაზე, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 6158 ლარის ღირებულების მომსახურება. სასურველია, ატვირთული შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ფასი შესაბამისობაში იყოს დადებული ხელშეკრულებების ღირებულებასთან. 2021 წლის შესყიდვების გეგმა ატვირთულია 4862 ლარის ოდენობით, ხელშეკრულებები დადებულია 4576 ლარის ღირებულების მომსახურებაზე, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 4530 ლარის ღირებულების მომსახურება. შესყიდვები განხორციელებულია გამარტივებული წესით. შესყიდვების თანხები გაღებულია ძირითადად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან. 2021 წელს გამარტივებული შესყიდვის წესით დადებულია ხელშეკრულებები ი.მ. „მაკა შველიძესთან და ი.მ. „თინათინ პაპავასთან", რომელთაც აქვს ერთიდაიგივე ნომერი N4.

გ. შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშების და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი.

ა(ა)იპ „მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლში" შემოსავალი და ხარჯები ნაწარმოებია ხაზინის მეშვეობით.

2019 წელს სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიიდან ჩაერიცხა 104998 ლარი, სხვა შემოსავალმა (სწავლის ქირა) შეადგინა 1820 ლარი. სულ შემოსავალმა შეადგინა 106818 ლარი. 2019 წლის დასაწყისში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ა(ა)იპ „მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლს" დაუმტკიცა საშტატო განრიგი თვიური ხელფასი 8010 ლარი, 21 საშტატო ერთეულით. 2019 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ნაჩვენებია ხელფასის დანამატის სახით გაცემული თანხა 1644 ლარის ოდენობით, ფაქტიურად გაცემულია დანამატი 3805 ლარი. აღნიშნული სხვაობა ქმნის ფინანსური რისკის საფუძველს.

2020 წელს სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიიდან ჩაერიცხა 109987 ლარი, სხვა შემოსავალმა (სწავლის ქირა) შეადგინა 640 ლარი. სულ შემოსავალმა შეადგინა 110627 ლარი. 2020 წლის 08 იანვარს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს" დაუმტკიცა საშტატო განრიგი თვიური ხელფასით 8510 ლარი, 22 საშტატო ერთეულით, ხოლო 2020 წლის 01 სექტემბერს დაუმტკიცა 23 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 9010 ლარი. 2020 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ნაჩვენები ხელფასის დანამატის სახით გაცემულია თანხა 175 ლარის ოდენობით, ფაქტიურად გაცემულია დანამატი 835 ლარი, აღნიშნულიც ქმნის ფინანსური რისკის საფუძველს.

2021 წელს სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიიდან ჩაერიცხა 111497 ლარი, სხვა შემოსავალმა (სწავლის ქირა) შეადგინა 1246 ლარი. სულ შემოსავალმა შეადგინა 112743 ლარი. 2021 წლის 04 იანვარს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს" დაუმტკიცა საშტატო განრიგი თვიური ხელფასით 9010 ლარი, 23 საშტატო ერთეულით, ხოლო 2021 წლის 04 ნოემბერს დაუმტკიცა 24 საშტატო ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდით 9260 ლარი. 2021 წელს ბიუჯეტის

შესრულების ანგარიშში ნაჩვენები არ არის ხელფასის დანამატის სახით გაცემული თანხა, ფაქტიურად გაცემულია დანამატი 1640 ლარი. აღნიშნულიც ქმნის ფინანსური რისკის საფუძველს.

ა(ა)იპ „მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლს“ 2019 წელში დარიცხული აქვს საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეადგენს 19131 ლარს, 2020 წელს დარიცხულია - 20486 ლარი, 2021 წელს - 21218 ლარი. აღნიშნული თანხები გადარიცხულია ხაზინის ერთიან საბიუჯეტო ანგარიშზე

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ში გაწეული ხარჯები და შესაბამისი პროცენტული შემადგენლობა მთლიან ხარჯთან მიმართებაში წლების მიხედვით ნაჩვენებია ცხრილ №1-ში:

N	ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი"						
	გაწეული ხარჯების შესახებ						
							ცხრილი №1
		2019 წ	2019 წ	2020 წ	2020 წ	2021 წ	2021 წ
		თანხა ლარი	%	თანხა	%	თანხა	%
1	შრომის ანაზღაურება	96096	90.00	102987	93.26	106736	94.67
2	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	0	0	0	0	300	0.27
3	მივლინება ქვეყნის შიგნით	942	0.88	40	0.04	186	0.16
4	საკანცელარიო საქონელი	528	0.49	424	0.38	301	0.27
5	ნორმატიული აქტები, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის შეძენა	138	0.13	28	0.03	28	0.02
6	მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	160	0.15	80	0.07	60	0.05
7	საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	716	0.67	310	0.28	0	0
8	ოფისის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენა	154	0.14	429	0.39	0	0
9	საჭირო ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის ხარჯი	200	0.19	0	0	0	0
10	კავშირგაბმულობის ხარჯი	918	0.86	1064	0.96	965	0.86
11	ელექტრო ენერგიის ხარჯი	483	0.45	280	0.25	461	0.41
12	წყლის ხარჯი	131	0.12	57	0.05	139	0.12
13	გათბობისათვის და გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის შეძენის ხარჯი	1366	1.27	1010	0.91	1060	0.94
14	შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯი	120	0.11	120	0.11	120	0.11
15	ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული	250	0.23	145	0.13	311	0.28
16	წარმომადგენლობითი ხარჯი	420	0.39	0	0	0	0
17	კვების ხარჯი	1133	1.06	0	0	72	0.06
18	ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი	680	0.63	0	0	0	0

19	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა	1133	1.06	2669	2.42	2004	1.78
20	სოციალური უზრუნველყოფა	1250	1.17	789	0.72	0	0
	სულ ჯამი	106818	100	110432	100	112743	100

ა(ა)იპ „მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი"-ს ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს ბუღალტერი, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება ნაწარმოებია მემორიალური ორდერებით. 2019-2020 წლების ანგარიშგება ნაწარმოებია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ხოლო 2021 წლის ანგარიშგება ნაწარმოებია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 05 მაისის ბრძანება №108-ით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვა - ანგარიშგება ნაწარმოებია მემორიალური ორდერებით. შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს.

3. შიდა აუდიტის სუბიექტის გადაწყვეტილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი"-ს მიერ შიდა აუდიტორულ ანგარიშთან დაკავშირებით წარმოდგენილ მოსაზრებასთან დაკავშირებით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი"-ის აუდიტორული შემოწმების ანგარიშთან დაკავშირებით, აღნიშნული ობიექტის მიერ წარმოდგენილი იქნა მოსაზრება ანგარიშში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით. მოსაზრებაში ჩამოყალიბებული არგუმენტები არაა დასაბუთებული და შიდა აუდიტორების მიერ ვერ იქნება გათვალისწინებული შემდეგი გარემოებების გამო:

პირველ მოსაზრებასთან დაკავშირებით, ანგარიშის პროექტში ჩაწერილი იქნა აუდიტორული მიგნება ობიექტის 2020 წლის შესყიდვის გეგმასა და შესყიდვის თანხის შეუსაბამობასთან დაკავშირებით. როდესაც ხელშეკრულება იდება შესყიდვის გეგმით გათვალისწინებულზე მეტი თანხით, გეგმაში ხელმძღვანელის ბრძანებით შეტანილი უნდა იქნას ცვლილება. აღნიშნული ბრძანება შედგენილი არაა. სწორედ ამის გამო ვერ იქნება გათვალისწინებული ორგანიზაციის მოსაზრება.

რაც შეეხება ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, მასში ზუსტად უნდა იქნეს მითითებული დანამატის სახით გაცემული თანხის ოდენობა.

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი"-ის შინაგანაწესის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს რომ, მივლინების თანხის გაცემის წესი ფორმულირებულია კანონთან შეუსაბამოდ, რადგან საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით პირდაპირაა გათვალისწინებული სამივლინებო სადღეღამისო ხარჯის ოდენობა და დირექტორის მიერ მისი გაცემის მითითება საჭირო არაა. თანხას გასცემს ორგანიზაცია თავისი ხარჯებიდან.

4. ძირითადი რისკები:

ადგილი აქვს ფინანსურ და შესაბამისობის რისკებს.

5. რეკომენდაციები

1. ყურადღება მიექცეს საშტატო განრიგისა და ფუნქცია-მოვალეობის სწორად შედგენას. ფუნქცია-მოვალეობების ნუსხაში ასახული პოზიციების დასახელება შესაბამისობაში უნდა იყოს საშტატო განრიგთან და ორგანიზაციის წესდებასთან. საშტატო განრიგში მითითებულ პოზიციას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ფუნქციები განსაზღვრული.
2. ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი"-ის წესდებაში და ფუნქცია-მოვალეობის ნუსხაში შეტანილი იქნას ცვლილებები: წესდებაში ტერმინი. "გამგებელი" შეიცვალოს ტერმინით "მერი". ფუნქცია-მოვალეობების ნუსხაში შიცვალოს მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.
3. სასურველია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული თანხა შესაბამისობაში იყოს დადებული ხელშეკრულებების ღირებულებასთან. შესყიდვების ხელშეკრულების დადებისას ყურადღება მიექცეს ხელშეკრულებების სწორად დანომვრას.
4. ყურადღება მიექცეს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის სწორად შედგენას.

პასუხისმგებელი პირები: ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი"-ის [redacted]

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

შიდა აუდიტის განყოფილების უფროსი: [redacted]

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

შიდა აუდიტის განყოფილების

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: [redacted]

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი: [redacted]